№ 41

12 ოქტომბერი

ივერია

1909 წ.

ფასი ერთი შაური

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. **Туманову**.

გაზეთი „**ივერია**“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

წლის ფასი 3 მან. წლის დალევამდი 2 მან.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი**.

კახეთი მეღვინეთა ამხანაგობა

საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

ფორტოპიანოს ამწყობი

გ. ლ. ხარიშჩაროვი

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

მიიღება შესაკეთებლად ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით

იყიდება როიალიდან და პიანინოდან მტვერის **გამოსაბერავი**. ფასი 3 მანეთი.

დაბა **ლანჩხუთში**

გაიხსნა

ფოტოგრაფია

„გურია“

ა. მიქელაშვილი.

კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში. (Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბორტები (15 კაპ. და მეტიც)

ხაჭაპური

ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი

სასმელი წყლები

ლუდი, სადილი

ფასები ხელმისაწდომია

სისუფთავე და კარგი სამსახური

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი

კბილის სნეულებანი. **ხელოვნური კბილები**. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათ. მიხეილის პროსპექტი ს. № 22 (სემიონოვის ქ. კუთხეზე № 3). შესავალი სემიონოვის ქუჩიდან. 0—1

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

დამირავებას და გადამირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის $8\frac{1}{2}$—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

ვამლევ გაკვეთილებს

ვამზადებ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის.

Водовозная № 3 квар. Рубинштейна.

ПЕРХОТЬ
уничтожаетъ
безслѣдно
„МЫЛО
ОТЪ
ПЕРХОТИ“
Т-ва
А. М. ОСТРОУМОВА.

ახალი ამბები და დეპეშები

◆ შაბათს, 10 ოქტომბერს ტფილისის საერობო საგუბერნიო კრებაზე განიხილეს საკითხი ქ. ტფილისის ცალკე სამაზრო ერობად გახდომის შესახებ. ბ. ხატისოვის და მის ამხანაგების წინადადებით ქ. ტფილისი ცალკე უნდა იყოს, ტფილისის ერობიდან გამოყოფილი და მისი საერობო შემოსავალი მასვე უნდა მოხმარდეს და სამაზრო ერობამ კი თავის თავზე მხოლოდ თავისი საკუთარი ფული უნდა დახარჯოსო, კრებამ დიდი ხმის უმეტესობით უარჰყო ეს წინადადება და ქ. ტფილისი მაზრის ერობის ნაწილად დასდვა.

◆ **გერცენშტეინის მოკვლის საქმე**. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ფინლიანდიის სასამართლოს გაუგზავნია უწყება სასამართლოში გამოცხადებისა დუბროვინისათვის იალტაში. თუ დუბროვინმა არ მოინდომა სასამართლოში გამოცხადება, იმ შემთხვევაში სასამართლო სთხოვს იალტის ადმინისტრაციას დააპატიმროს და ისე მიგვაროს.

◆ „ბაკუ“-ს სიტყვით პეტერბურგში დაარსდა წრე „კავკასიის მეგობართა“. წრე სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს დეპუტატებისაგან შესდგება. წრეს მიზნათ აქვს მხარი დაუჭიროს რეფორმების შემოღებას კავკასიაში.

◆ **ალმანახი**. დღეს გამოვიდა ახალი ალმანახი „ქართველი ერი“ შემდეგის შინაარსით: „კრიგოლ ვოლსკი.—„ქუჯის ციხე“, ლექსი დ. თომაშვილისა.—„მელია სერეფენია“, ზღაპარი ვაჟა-ფშაველასი,—„გიმნაზია თუ სამეურნეო სასწავლებელი?“ ვ. წ—სა.—„ხავერდის კაბა“, მ. ა—სა.—„მთის არწივი შამილი“, ა. ფრონელისა.—„ნ. ხიზანაშვილი“, გ. ყ—სა.—„ნეკროლოგი“, ვ. დ—სა და „ერის უფლება“. Bâton-ისა.

◆ საცენზურო კომიტ. წარმოსადგენად დაურთავს შემდეგი ქართული პიესები: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, ვასილ ყიფიანისა, ნახუცრიშვილის ახალი დრამატიული ეტიუდი სამს მოქმედებათ და ქართულად გადმოთარგმნილი: „გეტერა ლაისა“.

◆ **ახალი ჟურნალი**. ახლო მომავალში თბილისში გამოვა ყოველ კვირეული ქართული ჟურნალი: „საქართველოს მოამბე“ სვ. ყიფიანის რედაქტორობით.

◆ ხუთშაბათს 15 ოქტომბერს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება „სამხედრო ბანაკში“.

ქართულ თეატრში „აი გიდი მეგობრებო“.

◆ როგორც „სახალხო გაზეთი“ გადმოგვცემს „კახეთი“-ს წევრთა წლევანდელ კრებაზე თუმცა სულ ადგილობრივი მცხოვრებნი იყვენ, მაგრამ ლაპარაკი მაინც უცხო ენაზე სწარმოებდა. ეს მაშინ, როცა ზოგს არცკი ესმოდა ეს ენა.

◆ **ქართული თეატრი**. ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იყო ზაპოლსკაიას პიესა „ფარისეველი. პიესა შინაარს არ არის მოკლებული და საყურებლათაც კარგია. პიესამ საზოგადოთ კარგა ჩაიარა, რომ ერთ უგვანო შემთხვევას არ წაეხდინა შთაბეჭდილება. ტასო აბაშიძე საზოგადოთ ძალიან დიდი მოტრფიალეა შარჟისა და თუ შესაფერი მომენტები ექნა პიესაში ყოველთვის თავს იჩენს მასში. მაგრამ შარჟიც არის და შარჟიც, თუ ვასო აბაშიძის შარჟს ხანდახან მაყურებელი დაუტკბია, ტასოს შარჟი მაყურებელზე ისე მოქმედობს, რომ მზათ არის თვალებზე ხელი მიიფაროს. ეს არის იაფასიანი, ბალაგანური შარჟი, რომელსაც ჩვენს სცენაზე ადგილი არ უნდა ქონდეს, რადგან ქართველი მაყურებელი ამ მხრივ დიდ სიფაქიზეს არის დაჩვეული.

პეტერბურგი. გაიხსნა სახელმწიფო საბჭოს სხდომები.

— გაიხსნა სახელმწიფო სათათბირო.

— ბულატმა სახელმწიფო სათათბიროს, პირველ სხდომაზე შეიტანა კანონ-პროექტი პიროვნების ხელშეუხლებლობაზე. სათათბირომ არ მიიღო.

— ხელმწიფე იმპერატორს გზაზე იტალიისაკენ ეგებებიან. რომი ბაირაღებით არის შემკული. როგორც დეპეშები გადმოგვცემენ ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა უმაღლეს სტუმარს.

— გაზეთები ათავსებენ ხელმწიფის სურათს თავის ფურცლებზე.

— დღე და ღამის განმავლობაში პეტერბურგში ხოლერით ავათ გახდა 17, მოკვდა 9.

— ბაქოში ობეზგაუზის ბინაზე აღმოუჩენიათ სამი ფიტილიანი ყუმბარა. დამნაშავე შეუპყრიათ.

— გერცენშტეინის მოკვლის შესახებ ბრალდებულმა სცნო დამტკიცებულათ, რომ მკვლელობა მოახდინა „ჭეშმარიტ რუსთა პარტიის“ წევრებმა.

შეცდომის გასწორება. წარსულ ნომერში „წკიპურტის და მათურის“ ლექსის შენიშვნაში სწერია: „ვითომდა სოციალ-დემოკრატები“ ნამდვილად უნდა იყოს: „ვითომდა სოციალისტები“. „მათრახის“ უკანასკნელ ნომერში ბ-ნი ეშმაკი ამ ლექსის გამო ძალიან იგინება... ალბათ კუდი თუ მოსწვია!..

თბილისი, 12 ოქტომბერი.

ბ. არჩილ ჯორჯაძემ „დროების“ №-ში საყურადღებო წერილი დაბეჭდა, რომელიც გულდასმით უნდა გადაიკითხოს ყველამ, ვისაც ჩვენი ქვეყნის ავკარგი აწუხებს.

ბ. ჯორჯაძე ჩვენში რუსულ გაზეთების არსებობას ეხება და ამბობს, რომ ამ გაზეთების არსებობა და ამ გაზეთებში ქართველების თანამშრომლობა ხელს უწყობს ქართველების ეროვნულ გადაგვარებას. „კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, ამბობს ბ. ჯორჯაძე, რუსულ გაზეთების გამოცემით ქართველი მოღვაწენი კი ხალხს ამ ენას ართმევენ და ავიწყებინებენ, რადგან ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად და ფართოდ გაავრცელონ თავიანთი ფურცლები ქართულ საზოგადოებაში“.

რამდენათ მართალია ბ. ჯორჯაძეს ასეთი შეხედულება? მართლა ხელს უშლის ქართველების ეროვნულ აღორძინებას ჩვენში რუსულ პრესსის არსებობა თუ არა? რა არის ამ პრესსის არსებობის მიზანი?

ბ. ჯორჯაძე სამნაირ მიზანს ასახელებს: 1) მთავრობასთან და მთავრობის ამა თუ იმ მოხელესთან გამობაასება. მთავრობაზე და მთავრობის არა თუ იმ მოხელეზე გავლენის მოპოვება. 2) რუსებში ჩვენი თავის გაცნობა და რუს საზოგადოებასთან დაახლოვება და 3) კავკასიელ ერებში სოლიდარობის გამტკიცება, ერთ გაზეთში სხვა და სხვა ეროვნების ინტერესების დაცვა.

ბ. ჯორჯაძე არაფერს ამბობს იმ რუსულ გაზეთებზე, რომელთაც მხოლოდ შემოსავლის მიზანი აქვს და ჩვენც ამნაირ გაზეთებზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც ასეთი გაზეთი არაფერ სარგებლობის მოტანას არ კისრულობს საზოგადოებისათვის. ასეთი გაზეთი, საზოგადოებრივ მიზანს მოკლებული, ქართველ ეროვნებისთვის მირთლაც რომ მავნებელია.

ჩვენც და ბ. ჯორჯაძესაც სახეში გვაქვს მხოლოდ ისეთი გაზეთი, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოებრივი მიზანი აქვს.

ჩვენ სრული თანახმა ვართ ბ. ჯორჯაძის, რომ რუს საზოგადოებასთან ჩვენი დაახლოვების მიზნად დასახვა უსაფუძვლო და უნაყოფოა. რუსეთში ჩვენში გამოცემულ გაზეთებს არ კითხულობენ, არ კითხულობენ ამ გაზეთების პრინციპიალურ წერილებს, ე. ი. იმას, რასაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და რასაც შეუძლია ჩვენი თავი და ჩვენი მიმართულება საზოგადოებას გააცნოს. რუსეთის თვით მოწინავე საზოგადოებასაც არ ეინტერესება ქართველების ეროვნული მისწრაფება და იდეალები. რამდენი ჩვენში გამოცემული რუსული გაზეთი მიდის რუსეთში, რამდენს იწერენ რუსები შუაგულ რუსეთიდან იმისთვის, რომ ქართველ ერის ნამდვილი სულის კვეთებას გაეცნონ? არც ერთს, არც ერთს, რადგანაც მათ საამისოდ არა სცალიათ, რადგანაც ყველას თავისი საკუთარი ვარამი აწუხებს, თავის საკუთარ მდგომარეობის გაცნობა ეხალისება.

ამიტომ სატახტო ქალაქების რომელიმე რუსულ გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციას ან წერილს მეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთში ჩვენ შესახების მართალ ცნობების გასავრცელებლად, ვიდრე ჩვენში გამოცემულ ათიოდე გაზეთს და ამ გაზეთებში დაბეჭდილ მეთაურებს. ამიტომაც სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენენ ზოგიერთ ადგილობრივ რუსულ გაზეთის ის მეთაურები, სადაც რედაქცია შუაგულ რუსეთის ან სატახტო ქალაქების მცხოვრებლებს ებაასება ისე, თითქოს მისი მკითხველები მხოლოდ იქიურები ან იქაურებიც ყოფილიყვენ.

ადგილობრივი რუსული გაზეთი, როგორც ქართველების შემაერთებელი შუაგულ რუსეთის საზოგადოებასთან,—ამაზე მხოლოდ გულუბყვრილო ბავშვი თუ იტიტინებს...

სულ სხვაა ქართველების შეკავშირება კავკასიაში მცხოვრებ დანარჩენ ერებთან. აქ გაზეთს, რუსულ გაზეთს დიად სამსახურის გაწევა შეუძლია. რუსული ენა დღეს დღეობით სახელმწიფო ენაა, ე. ი. ის ენა, რომელიც მიღებულია სალაპარაკოთ იმათში, ვისაც ერთმანეთის ენა არ ესმის, ქართველს სომეხთან ან თათართან მოლაპარაკება თუ უნდა, ძალა უნებურად რუსულს მიმართავს, რადგანაც მან და სომხებმაც თუ თათარმაც რუსული ენა თანასწორად იციან.

ეს შეკავშირება, ეს ერთმანეთის გაცნობა, ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედება აუცილებელია კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერისთვის, ეს შეკავშირება კი შეუძლებელია, თუ ერთმანეთის გაცნობა არ იქმნა, ერთმანეთის გასაცნობად კი ადგილობრივ რუსულ გაზეთს დიად სამსახურის გაწევა შეუძლია.

ამ მიზნით ადგილობრივ რუსულ გაზეთის არსებობა ყოვლად სამართლიანი და სახეიროა.

საუბედუროთ ასეთი გაზეთი ჩვენში არც წინეთ ყოფილა, არც ახლა არის.

ერთმანეთის გასაცნობად საჭიროა ამ გაზეთში მონაწილეობას იღებდენ ყველა ადგილობრივ ეროვნების საუკეთესო მოღვაწეები. გაზეთის წერილების სწორედ ეს მიზანი უნდა ჰქონოდა, გაზეთს უნდა ეტყობოდეს. რომ ადგილობრივ ერთა სოლიდარობას და დაახლოვებას ემსახურება.

ერთ ხანს „ვოზროჟდენიე“ და მისი მომყოლი გაზეთები ცდილობენ ამ მიზნის განხორციელებას, მაგრამ რა გამოვიდა? გაზეთი ქართველების ხარჯით გამოდიოდა, შიდ ქართველების შრომა იხარჯებოდა, ქართველები მეთაურობდენ ამ გაზეთს,—სხვა ეროვნებათა საუკეთესო წარმომადგენლები გაზეთს განზე უდგენ და შიდ თანამშრომლობას ერიდებოდენ. და თუ თანამშრომლობდენ, იმისათვის კი არა, რომ ერთმანეთისთვის გაეცნოთ სხვა და სხვა ეროვნების მკითხველები, არამედ იმისთვის, რომ ქართველების ამ რუსულ გაზეთის საშუალებით თავიანთი ეროვნული საქმეები მოეწყოთ.

ამიტომ ერთა სოლიდარობის სამსახური, როგორც გაზეთის მიზანი, თუმცა მეტად მოსაწონია, მაგრამ საქმით ამ მიზნის გინხორციელება ჯერ არ მოხერხებულა და არსებული რუსული გაზეთები ამ მიზანს დღეს სრულებით აღარ ემსახურებიან.

რჩება მესამე მიზანი, რომელიც შეიძლება დავუსახოთ რუსულ გაზეთის გამოცემას კავკასიაში, ეს არის მთავრობასთან და მთავრობის ადგილობრივ მოხელეებთან კავშირი, ძმური და მეგობრული კავშირი კი არა, მათთან რამე საერთო მიზნებით გამოწვეული, არამედ ისეთი კავშირი, რომელიც საკონტროლოსთან აქვს იმას, ვინც მის კონტროლობას კისრულობს. რუსული გაზეთი მთავრობის მოხელეთა კონტროლიორი, თვალყურის მდევნელია.

ბ. არჩილ ჯორჯაძე ვერ უარჰყოფს იმას, რომ ჩვენ, ქართველები, რუსეთში ვცხოვრებთ და იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ მთავრობის მოხელეებს ადგილობრივ და მთავრობის საერთო პოლიტიკის ადგილობრივსავე განხორციელებას. იგი ვერ უარჰყოფს იმას, რომ მთავრობის საერთო პოლიტიკას, განაპირა ადგილების მართვა-გამგეობის სისტემას შეიძლება სხვა და სხვანაირი განმახორციელებელი ჰყავდეს და რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ეს განმახორციელებელი პირადათ ჩვენი მტერი თუ ჩვენი კეთილის მსურველია, ავგულა კაცი თუ კეთილი ადამიანია.

ბ. ჯორჯაძე იმ აზრს თუ ადგია, რომ მხოლოდ პრინციპს, სისტემას უნდა ვუყუროთ და ამ პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებას კი არა, ლოღიკურად მართალი იქნება რუსულ გაზეთების უარყოფაში. იმ აზრს თუ ადგია, რომ მთავრობის ზედმეტი სისასტიკე და მის წარმომადგენელთა ზედმეტი სიავე ჩვენთვის შეიძლება უფრო სასურველიც იყოს, რადგანაც ხალხს „უფრო ადვილად გამოაფხიზლებს“, მაშინაც მართალი იქნება ხსენებულ უარყოფაში.

მაგრას იგი შემცდარი და მეტად შემცდარი არის, თუ რუსულ გაზეთებს უარყოფს და მასთან იმასაც ფიქრობს, რომ ამა თუ იმ მაღალ თანამდებობის მოხელეს სიავკარგეს ჩვენთვის რამე ცუდი ან კარგი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის თუ სასურველია, რომ ეს მოხელეები ქართველ ერს ტყუილა უბრალოთ არ ავიწროვებდენ და რომ ჩვენთვის არა სასურველი სისტემა ზედმეტის სისასტიკით არ განხორციელდებოდეს ხოლმე, აუცილებლად უნდა **ვეცადოთ** კიდეც ამ მიზნის მიღწევას, უნდა ვეცადოთ შეძლებისადაგვარად უკეთესი მოხელეები გვყავდეს, რომ ჩვენში გამოგზავნილმა მთავრობის მოხელეებმა შეძლებისადაგვარად უკეთესად ექცეოდენ ხალხს.

ამ მიზნის მიღწევა შეიძლება ადგილობრივ რუსულ გაზეთის გამოცემით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამ გაზეთს რამე სახელი და პატივისცემა აქვს მოპოვებული საზოგადოებაში.

რამე თუ გვინდა, პირადათ მთავრობის მოხელეებთან მოსალაპარაკებლად წასვლას არც ერთი ჩვენგანი არ თაკილობს, და ამ წასვლას საჭიროდ და აუცილებლად ხდის დღეს, როცა არ არსებობს არც ერთი ისეთი დაწესებულება, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შესძლებოდეს მთავრობის წარმომადგენლებთან დღე მუდამ შეხვედრა და გაბაასება, როდესაც არ არის დაწესებულება, სადაც გამობაასებისათვის თავს იყრიდენ ყველა მოხელეები,—გაზეთს, რუსულ გაზეთს სწორედ ასეთი დაწესებულების მაგიერობა შეუძლია და გაზეთის მეთაურებმა ამნაირად გაზეთის წაყვანა თუ მოახერხეს, ამით დიდ სარგებლობას მოუტანენ ქართველ საზოგადოებას.

ამ სარგებლობის უარყოფა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც საზოგადოთ მთავრობის მოხელეებთან ყოველივე კავშირის საჭიროებას უარყოფს.

ბ. არჩილ ჯორჯაძე მართალს არ ამბობს, როდესაც აცხადებს, ვითომ რუსულ გაზეთის მნიშვნელობის მომხრენი ფიქრობდენ,—ჩვენი **პირველი საქმე** და მოვალეობა ის იყოს, ვიღაცა რაღაცაში დავარწმუნოთ და ჩვენსკენ გული მოვუბრუნოთ. არა, პირველ საქმედ და მოვალეობად ამას არავინ არა სთვლის, მხოლოდ ზოგიერთები ფიქრობენ კი, რომ ხშირად საჭირო და სასარგებლო, ხშირად აუცილებელიც არის ჩვენთვის ეს გულის მობრუნება, ეს დარწმუნება—ხვეწნა-მუდარით და პირადათ მოსვლით კი არა, არამედ ამა თუ იმ ფაქტის გამოაშკარავებით და საზოგადოებაში არსებულ აზრის გამოთქმით.

რუსულ გაზეთის გამოცემას, მართალია, არ შეუძლია გამოცვალოს რუსეთის მთავრობის **სისტემა**, მაგრამ ეს შეცვლა მას მიზნადაც არასოდეს არ ჰქონია. ადგილობრივი გაზეთი ადგილობრივ ინტერესების, ყოველდღიურ ცხოვრების ვიწრო ფარგალში დგას და ამავე ფარგალში რჩება,—მას შეუძლია მხოლოდ ამა თუ იმ მოხელესი შეცვლა, შეუძლია არსებულ სისტემის ზედმეტ სისასტიკის მოსპობა,—თვით სისტემასთან ბრძოლას სხვა საშუალება უნდა და ამ ბრძოლას რუსული გაზეთი ვერ იკისრებს და არ კისრულობს და არც უნდა კისრულობდეს...

ბ. ჯორჯაძე მართალია, როდესაც ამბობს, რომ სისტემასთან ბრძოლას უნდა ეროვნულ ძალთა ორგანიზაცია, რომ მთავრობა, მონარქიული იქნება იგი თუ დემოკრატია, ანგარიშს უწევს მხოლოდ იმას, რაც ძალას წარმოადგენს, რბილ ფაფას კი სჭყლეტს იგი თავის კლანჭებში. რბილი ფაფა გვგონია ჩვენ ისეთი საზოგადოება, რომელიც თავის ყოველდღიურ ვარამის მოვლას ვერ ახერხებს, ამ ვარამს თვილებს აშორებს, ხელს იღებს იმ საშუალებებზე, რომელთაც არსებულ სიავის მოსპობა თუ არა, შესუსტება მაინც შეუძლია და, ოცნებაში გახვეული, ძალას იკრებს და მხოლოდ ამ შეკრებაზე გამუდმებულ ლაპარაკს უნდება.

ძალაა საჭირო? როგორ გნებავთ თქვენ ამ ძალის შეკრება. მყუდრო ცხოვრება რომ გვქონდეს, კარზე მოწინააღმდეგე რომ არ გვადგეს, ეს ძალთა შეკრება და ორგანიზაცია ადვილი იქნებოდა, მაგრამ უბედურებაც ხომ ის არის, რომ ამ ორგანიზაციის ან შეკრების ხელის შემშლელნი აქვე არიან და ჩვენი ცხოვრების ყოველ ფეხის გადადგმას თვალს ადევნებენ... წყალდიდობამ ჩვენი ყანები რომ წალეკოს, შეიძლება განა ამ ყანების დამუშავება, თუ მდინარეს ნაპირებიც არ გავამაგრეთ? და ეს მდინარეს ნაპირების გამაგრებაზე დახარჯული შრომა ყანებისათვის განა დაკარგულია? ასევე დაკარგული არ არის ერის შინაურ ცხოვრებისათვის ის მეცადინეობა, რომელსაც მიზნად აქვს მისკენ მიმართულ საწინააღმდეგო სისტემის შეცვლა თუ არა, ამ სისტემის ზედმეტ სისასტიკის შემსუბუქება მაინც და ამნაირად ეროვნულ ძალთა ორგანიზაციის გაადვილება.

ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რუსეთში ვცხოვრობთ, რომ, გვინდა თუ არა, იძულებული ვართ ხოლმე გაუწიოთ ანგარიში იმას, რაც რუსეთში ხდება და რასაც რუსეთის მთავრობა აპირებს. და მთავრობის ესა თუ ის წარმომადგენელი თუ ანგარიშს უწევს იმას, რაც ადგილობრივ რუსულ გაზეთებში სწერია, ნუ თუ ხელიდან უნდა გავუშვათ ეს იარაღი.—რუსული პრესსა, და მხოლოდ ქართულად ვწეროთ იმ იმედით, რომ შეიძლება მთავრობის მოხელეებმა ქართულ გაზეთების კითხვით თავი შეიწუხონ და ქართულ გაზეთებსაც ის ანგარიში გაუწიონ, რომელსაც რუსულ გაზეთებს უწევენ.

რუსული გაზეთი ამიტომ საჭიროა იმდენათ, რამდენადაც გვინდა გავლენა ვიქონიოთ ჩვენში მყოფ სხვა და სხვა მოხელეებზე, ეს სურვილი კი უნდა გვქონდეს იმდენათ, რამდენადაც ჩვენ კულტურული ერი ვართ და სახელმწიფო ცხოვრებაზე გავლენის მოპოვებას ვცდილობთ.

თვით სისტემის შესაცვლელადაც შეიძლება გამოდგეს ჩვენში რუსული გაზეთი. მხოლოდ უცებ კი არა, არამედ თანდათანობით.

რუსულ გაზეთის მნიშვნელობის უარისყოფა ბ. არჩილ ჯორჯაძისგან მიკვირს და ვერ გამიგია. დღეს, როცა ყველამ შეიგნო პრესსის მნიშვნელობა, ამ მნიშვნელობის უარყოფა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში რად შეიძლება? შეიძლება ვთქვათ, რომ ესა თუ ის გაზეთი ცუდათ მიყავთ, რომ უნიჭო და უპრინციპო, ხალხის ინტერესების არა მცოდნე პირია გაზეთის ხელმძღვანელი, შეიძლება დავიწუნოთ არა თუ იმ გაზეთის შინაარსი, მაგრამ კარგად წაყვანილ, დიად ეროვნულ მიზნით გამსჭვალულ რუსულ გაზეთის უარყოფას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ვიცი, ბ. ჯორჯაძე ამბობს, ეს გაზეთები ისევ ქართველებში ვრცელდება და აქ ქართულ გაზეთის ადგილს იჭერსო... ამნაირად ქართულ ერის და ქართულ კულტურის განვითარებას ხელი ეშლებაო...

ეს მართალია, რუსული გაზეთი ქართულ გაზეთის ადგილს თუ იჭერს, სასიამოვნო არ არის. მაგრამ ასეთ მოვლენას რომ ვხედავთ, რას უნდა ვეცადოთ? უნდა მოვსპოთ რუსული გაზეთი, რომლის სარგებლობას ვგრძნობთ, თუ თვით საზოგადოება უნდა შევცვალოთ და ქართულის კითხვა შევაყვაროთ და შევაჩვიოთ?

ბევრია ქართველებში ისეთი, რომელიც რუსულ გაზეთის კითხვას შეეჩვია იმიტომ, რომ რუსულ გაზეთში მეტი უნახავს ახალი ცნობა. ამიტომ ქართულმა გაზეთებმა ამ მხარეს უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება და ცნობა რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება ახალი მიაწოდონ თავიანთ მკითხველებს. დღეს ცოტაა განა ისეთი, რომ ორივე ენაზე იწერს და კითხულობს გაზეთს, საჭიროდ სთვლის სხვა მიმართულების გაზეთსაც მიაქციოს თავისი ყურადღება?

გინდათ ქართულ გაზეთს მეტი გასავალი ჰქონდეს? ეცადეთ ქართულ ენას მეტი პატივისცემა და სიყვარული მოუპოვოთ საზოგადოებაში. ამ სიყვარულის და პატივისცემის მოპოვება ამა თუ იმ გაზეთის გამოცემით თუ გამოუცემლობით არ მოიპოვება,—საამისოდ საჭიროა გაზეთის გარეთ გამუდმებული მეცადინეობა, პირადი მაგალითი, ქართულ ენის შემოღება ჩვენს კრებებზე, ჩვენს საზოგადოებებში, ჩვენს ოჯახში და კერძო ლაპარაკშიაც. ახლა თვით „დროების" მესვეურნი კერძო ლაპარაკში და კრებებზე ხშირად გაურბიან ქართულს და მერწმუნეთ შეგნებულ და განათლებულ პირთაგან კრებებზე რუსულ სიტყვების წარმოთქმა ქართულ ენის დავალებას და ქართულ გაზეთების გაუვრცელებლობის ასახსნელად უფრო გამოდგება, ვიდრე რუსულ გაზეთის გამოცემა.

ეროვნულ ძალთა ორგანიზაცია!.—ნუ თუ გგონიათ, რომ ეს ორგანიზაცია გაზეთის გამოცემით არის შესაძლო. გაზეთს ახალ ეროვნულ ძალების შექმნა არ შეუძლია, გაზეთი საპროპაგანდოთ არ ვარგა, გაზეთი მხოლოდ თავს უყრის იმას, რაც საზოგადოებაში უკვე არსებობს და გაზეთი თუ სუსტობს, საზოგადოებაში მისი შესაფერი ძალები ჯერ არ ყოფილა,—სხვა და სხვა გაზეთის დაკეტვით ორიოდე ახალ მკითხველის ხელში ჩაგდებას კი არ უნდა ვეცადოთ, არა, უნდა ვეცადოთ სწორედ ქართულ გაზეთისადმი ინტერესი გაუღვიძოთ ქართველ საზოგადოებას.

ჩვენი უბედურება, ეროვნული უბედურება სწორედ ის არის, რომ არავითარ მოქიშპესთან ბრძოლა არ ვიცით და არ შეგვიძლია. სადმე ვინმე მოქიშპეთ თუ გაგვიჩნდა, იმას კი არ ვცდილობთ, მოქიშპეს ვაჯობოთ, არა, ამ მოქიშპესი დაღუპვას ვცდილობთ. ასეთ გზას ვადგივართ ჩვენ კერძო ცხოვრებაში, ასეთ გზას ვადგივართ პოლიტიკურ და ეროვნულ ცხოვრებაშიაც. გაიხსენეთ ქართველების დამოკიდებულება სომხებთან. სომხებს ქართველები ხშირად მტრად ისახავდენ იმიტომ, რომ სომხები წინწაწეულნი არიან, ქართველები კი უკან ჩამორჩენ და წინწაწევის მაგივრად უფრო იმას ფიქრობენ, რომ წინწაწეული სომხებიც ჩამოაქვეითონ.

აქაც რუსულ გაზეთს ორიოდე მკითხველი თუ ჰყავს, უნდა ეცადოთ ახალ საკუთარ მკითხველის შოვნას, ის ქართველი, რომელიც რუსულ გაზეთს ეტანება და რომელიც ქართულ გაზეთს ხელში ძალაუნებურად აიღებს რუსულ გაზეთის გამოუცდელობის გამო, ასეთი მკითხველი მას არ გამოადგებათ... იგი თქვენთვის სახარბიელო არ არის.

ამნაირად ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ უნდა ვეცადოთ რუსულ გაზეთის დაკეტვას „არ უნდ გავიტეხოთ გული იმის გამო, რომ ამ გაზეთს მეთაურობენ ქართველები.

გული უნდა გავიტეხოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მეთაურობა ჩვენ ინტერესების შესაფერი არ არის, თუ გაზეთი ქართველების ეროვნულ ინტერესებს არ იცავს და ქართველების ძალას რაღაც „საერთო„ ქართულ და არა სპეციალურად ქართველების ინტერესების დაცვას ანდომებს. თუ ვერ ბედავს აშკარად გამოსთქვას, რომ მას მიზნად აქვს ქართულ ერის ქომაგობა. თუ ამნაირად რუსული გაზეთი პოლიტიკური ორგანო კი არა, ვაჭრული დაწესებულება გამოდის და მხოლოდ და მხოლოდ მეტ მკითხველების მოპოვებას დაეძებს.

და ამ მხრივ ბ. არჩილ ჯორჯაძის თანახმა ვართ გაზეთების გამოცემას, როგორიც ახლა გამოდის ჩვენში რუსულად, მათი გამოუცემლობა სჯობია...

და ამას ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ყურადღება უნდა მიაქციოს იმისთვის კი არა, რომ უვარგისი გაზეთი მოსპოს, არამედ იმისთვის, რომ უვარგისი იარაღი სავარგისად გახადოს, მონახოს მის უვარგისობის მიზეზი და იგი ჩამოაშოროს და ამნაირად საზოგადოებრივ ბრძოლისთვის ერთი ძლიერი იარაღი ხელიდან არ გაუშვას.

ბ. არჩილ ჯორჯაძეს ჰგონია, რომ რაკი რუსულ გაზეთის წინააღმდეგ სწერს, მას შოვინისტს დაუძახებენ, არა, ჩვენის ღრმა რწმენით მისი მეცადინეობა ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ იგი სხვა ქართველებსავით არ არის „ძალა, რომელსაც ანგარიშს უწევს მთავრობა", იგი ფაფაა, რბილი ფაფა, რომელსაც სჭყლეტს თავის კლანჭებში მოწინააღმდეგე.

რბილი ფაფა რომ არ ყოფილიყო, საბრძოლველ ერთერთ იარაღის ხელიდან გაგდებას არ ეცდებოდა,—პირიქით ამ იარაღის მიმართვას და გალესვას გვირჩევდა.

და ბ. ჯორჯაძეს ავიწყდება, რომ ჩვენ პირობებში „შოვინისტი" უფრო ცდილობს ხოლმე რუსულ პრესსის ხელში ჩაგდებას, რადგანაც ჩვენს პირობებში ამას აუცილებლად სთვლის იმისთვის, რომ ქართველ ერის ეროვნული და კულტურული აღორძინება გააადვილოს.

რადგანაც ისინი, ვისაც ჩვენში „შოვინისტების" სახელი დაარქვეს, არ გაურბიან ეროვნულ ბრძოლას.

კ. თუმანიშვილი

* * *

შენიშვნა.

ერობის შესახებ საგუბერნიო თათბირზე ვისაც თვალ-ყური უდევნებია იმისათვის, თუ რას ლაპარაკობდენ სხვა და სხვა პირები, და ვინ რას ლაპარაკობდა, უთუოდ შენიშნავდა იმას, რომ სომხები შეთანხმებულად მოქმედებდენ, ერთმანეთის საწინააღმდეგოს არაფერს არ ამბობდენ, ერთმანეთს ლაპარაკში ხელს უწყობდენ, ქართველები კი ასე შეთანხმებულად ვერ ლაპარაკობდენ, მათში ზოგი ალთას ეცემოდა, ზოგი ბალთას, ყველა თავის განსაკუთრებულ აზრით გამოდიოდა, განსაკუთრებულ მიმართულებას ადგა... ამიტომ გადიოდა ამ კრებებზე ყოველიფერი ის, რასაც სომხები ითხოვდენ.

შენიშნავდა აგრეთვე იმას, რომ სომხები უფრო დემოკრატიულად ლაპარაკობდენ, ვიდრე ქართველები: მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენელი სომხები პირველ შეხედვით სოფლელების ინტერესებს თითქო უფრო თავგამოდებით იცავდენ, ვიდრე ღარიბ-ქართველი ინტელიგენტები.

რატომ მოხდა ეს, ნუ თუ სომხები მართლაც უფრო დემოკრატები არიან, ვიდრე ქართველები?

ჩვენის შეხედულობით ამისი მიზეზი ცხადია,—სომხები ეროვნულ მიმართულების სიძლიერე და ქართველებში კი მისი სისუსტე.

სომხები ერთმანეთში არ შეთანხმდებოდენ, ეს მათი შეთანხმებული ლაპარაკი ბუნებრივია, რადგანაც სომხები შეეჩვიენ ეროვნულ იდეალების მისაღწევად მოქმედებას, რადგანაც მათში ეს იდეალები შემუშავებულია და რადგანაც მათ შეუძლიათ ამ იდეალების განხორციელება. ქართველებს თუ ეროვნულ იდეალის ხსენება ხშირად დღესაც სათაკილოდ მიაჩნიათ. ეროვნული გრძნობა კი, ის გრძნობა რომელიც ყოველ ადამიანს აიძულებს ლაპარაკის და მოქმედების დროს სომხები თავის ეროვნების კეთილდღეობა იქონიოს, ქართველებს უმეტეს ნაწილად დღემდის კიდევ არა აქვთ და არა.

აქ არ ვიტყვი, რომელი ქართველი როდის იყო მართალი ან შეცდარი, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ეს უკვე წარსული საქმეა, ცხადი კი არის, რომ რაკი ქართველები სხვა და სხვა აზრს ადგენ, ყველა აზრი მართალი და ქართველი ერისათვის სასარგებლო ხომ არ იქნებოდა, ზოგიერთი ამ ერისათვის ალბად მავნებელიც არის,—ქართველებში ამის შესახებ შეთანხმება არ ყოფილა, ქართველებმა სამოქმედო ერთი გზა ვერ აირჩიეს...

ან როგორ აირჩევდენ, როდესაც დღეს კიდევ საკმარისია რომელიმე თავადთან ან აზნაურთან გაიარო ქუჩაში ან პური სჭამო, რომ აგერ შენ გვერდით მყოფმა შენმა ნაცნობმა თავად-აზნაურობის მომხრე დაგიძახოს. და ამას დაგიძახებენ თვით განათლებული კაცები, ე. ი. შეგნებულები, სხვას რაღა მოეთხოვება?

აქ დაწვრილებით არ გავარკვევთ იმას, რაც კრებაზე უკვე გადაწყვიტეს, ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ, ახლა კი გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ სომხების ეროვნული შეკავშირება და ქართველების ეროვნული დაქსაქსვა.

შ.—

* * *

ეროვნული სიყვარული და პოლიტიკა

განვლილ ხუთი წლის განმავლობაში, მთელი ქვეყნიერების ზურგმა ბევრი რამ გასაოცარი განიცადა.

ველურ ტომებათ მიჩნეულმა ხალხმა მოულოდნელად აღმართეს თავისუფლების დროშები და მთელს განათლებულს ევროპას გაკვირვებისაგან თვალები დააჭყეტინეს, აბდულ-ჰამიდისა და მამედ-შაჰის სამფლობელოებში თავისუფლების გაზაფხული დადგა, და იქაურ ვარდს რთველი ველარ დათრთვილავს.

ერთი სიტყვით ყველგან მოხდა ის რასაც არ მოველოდით, და რაც ჯერ კიდევ წარმოდგენილი არა გვქონდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ოსმალეთ-სპარსეთზე უფრო კულტურით მოსილი საქართველო უკან დარჩებოდა, და ოსმალეთ-სპარსეთის ბედი შესანატრად გაუხდებოდა. ვინ იფიქრებდა მეტადრე იმ დროს, როცა მთელი საქართველო მოძრაობის ცეცხლში იყო გახვეული, და უკეთესი მომავლის შექმნას ცდილობდა. როგორ მოხდა, რომ ქართველმა ერმა არამც თუ ვერა შეიძინა რა, პირიქით დაჰკარგა კიდეც!?

იქნება ქართველი ხალხი უნიჭოა, უენერგიო, მაბეზღარი, მატყუარი და მისგან მოუვიდა ყველა ეს! არა, სრულებითაც არა. ქართველს, ნამდვილს ქართველს სჭირს ერთი სახიფათო მიზეზი. იგი მეტის მეტი გულ-კეთილი და მინდობილია. იგი შინაურს და გარეულს ყველას ენდობა, და ამ დანდობით იგი უფრო ხშირად ხაფანგში ფეხსა სდგავს. საკმარისია ქართველს კაცს რაიმეს შეჰპირდეთ, შეჰფიცოთ, რომ იგი სავსებით გენდოთ და თავისი თავი თქვენს კალთას შეაფაროს, ასეთი ჩვეულება და ხასიათი უფაქიზესს ზნეობის სიწმინდეს წარმოადგენს. იგი ამტკიცებს ერის ძმათ მოყვარეობას პირდაპირობას და სხვას, მაგრამ ქართველი ერი შემკობილი ამ ძვირფას ხასიათებით იჩაგრება პოლიტიკის ზეგავლენით. იქ, სადაც სწარმოებს მიზნის მისაღწევათ პოლიტიკა, სიყვარულს ადგილი არა აქვს, პოლიტიკით გატაცებული ერი ჰყლაპავს ამ კეთილმოზრე ქართველთა ნაშრომ ნაღვაწს.

ქართველი კი არ სცდილობს თითონაც შეიმოსოს პოლიტიკური იარაღით, და მეპოლიტიკეთა მტერ-მოყვარეს პოლიტიკითვე დახვდეს. შეიძლება ვინმემ წინააღმდეგი გვითხრას, ქართველი ერიც აწარმოებს პოლიტიკასო! მაგრამ მე კი მოგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ პოლიტიკური ავან-ჩავანობის ქართველს არაფერი გაეგება.

აიღეთ ქართველი მემამულე, რომელიც დაუნანებლად, დაუკვირვებლათ ჩალის ფასად ჰყიდის უცხოელზე თავის მამაპაპეულს. ის არ ფიქრობს, რომ უმიწაწყლო მეზობელს შეუნახოს თავისი მიწაწყალი. დამერწმუნეთ რომ ეს მას პოლიტიკური განუვითარებლობით მოსდის.

აიღეთ ეხლა მეორე მხარე: ხშირათ შეძლებული გლეხი ხედავს რომ გაძვალტყავებული მემამულე ჰყიდის ყოველივეს, გლეხი კი განზე დგება, უყურებს მამულის სხვის ხელში გადასვლას. და არხეინათა გრძნობს თავს. ესეც პოლიტიკის უვიცობაა.

ამრიგათ ხშირად ერთმანეთის პირისპირ დგანან ორი უვიცი პოლიტიკის უცოდინარი მყიდველ-გამყიდველი, აშკარაა, არც ერთს არ ესმის პოლიტიკის შინაარსი, თორემ პირველი ეცდებოდა მამული შინაურსავე დარჩენოდა, უკანასკნელიც მოინდომებდა მამული მას შეეძინა.

ერთი სიტყვით ქართველებს შორის სიტყვიერათ გაწეულმა „პროპაგანდამ" ქართველები პოლიტიკურათ ვერ მოამზადა. აქამომდე ქართველი ხალხი ქანაობს და ერთ-ერთ გზას ვერ დასდგომია. და ეს გზაზე არ დადგომა გამოიწვია იმ მიზეზებმა, რომ ქართველებს თავისმა ჰკრისუფლებმა თავი იქით უქნეს, საითაც ფეხები უნდა ყოფილიყო, ქართველების გულიდან ეცადნენ და ამოთიშეს ეროვნული სიყვარული, და მის მაგიერ ჩაუნერგეს არ შესაძლებელი რამ. ქართველი ხალხი ერთის შეხედვით მოსტყუვდა, თავისმა გულდანდობილობამ მას ცხვირში მწარეთ ამოჰკრა, და დაანახვა, რომ მას სულ სხვა რამე სჭირდებია.

ეროვნული საქმის გარეშე ქართველ ხალხს არ შეეძლო და არც შეუძლიან რაიმე პოლიტიკა აწარმოვოს, ჩვენში არ არის ჯერ არც ქართველი ბურჟუა და არც პროლეტარიატის „ჯარი". პოლიტიკაც იქ ხდება, საჭირო სადაც ძლიერნი სჩაგრავენ სუსტებს. ან და პოლიტიკით სურთ შეინარჩუნონ ის, რაც მათ უსამართლობით მიუთვისებიათ. თუ გნებავთ, პოლიტიკა იგივე ქამანდი, ხერხია, რომელიც მოპირდაპირეს ფეხში უნდა გამოსდო და თუ წაქცევით ვერა, თავიდან მაინც უნდა მოიშოროთ, სწორედ ამ ხერხს ამ პოლიტიკას სავსებით და დაკვირვებით აწარმოებენ ჩვენი მეზობელი სომხები. ეკლესიის განთავისუფლებაში მათ გამოიჩინეს საოცარი პოლიტიკური შეგნებულობა-საქმიანობა. და აკი გაიმარჯვეს კიდეც.

ჩვენ, ქართველებს, იმის მაგივრათ რომ დაგვეცვა და მოგვეთხოვნა ეკლესიის ავტოკეფალია, უარი განვაცხადეთ, და ხელი შეუშალეთ იმათ, ვინც ამ საქმისათვის იწირებოდენ,

რატომ მოხდა ეს? აი რატომ. ერთი ნაწილი ქართველების—ვითომ და მეთაურებისა სასაცილოდ სთვლიდა ავტოკეფალიის აღდგენას, ის უქადაგებდა ხალხს, რომ ავტოკეფალია ქართველთათვის არ ვარგა და მისთვის შრომა ამაოაო!

შეიძლება მკითხველმა მიპასუხოს, ავტოკეფალიის დაკარგვა რას უშლის და რა დაუშალა ქართველ ერსო, მეკი მოგახსენებთ, რომ ავტოკეფალიის აბუჩათ აგდების საქმემ შეაფერხა ქართველების პოლიტიკური მომწიფება. იმ ერს რომელსაც არა სწამს არც თავისი ეკლესია, არც ეროვნება, არც ტერიტორია, პოლიტიკასაც არ აწარმოებს, რადგან იგი არა სწუხს სხვის საკუთრებაში გადვიდეს მთელი მისი ავლადიდება. თუ თქვენ არაფრათ არ მიგაჩნიათ თქვენი ოჯახი, სახლი და კარი, ცოლი და შვილი, თქვენ არ ეცდებით დაიცვათ იგი გახრწნისა და დაქცევისაგან, უპოლიტიკოთაც იგი თავის თავად დაინგრევა, მაგრამ სულ სხვაა, თუ თქვენი ოჯახი და ცოლშვილი გიყვართ, მაშინ თქვენ სცდილობთ ბავშვებს არ მოგიშივდეთ, სახლი არ ჩამოგენგრეთ და სხვა. თქვენ ამას წინააღმდეგ საშუალებასა და ხერხს იგონებთ, ერთი სიტყვით ოჯახურ პოლიტიკას ეწევით, ესვე ითქმის მთელს ერზედაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი თვალ ახილული ეროვნულს ნიადაგზე თითონვე გამოიმუშავებს თავის დასაცველ პოლიტიკას. ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებს ქართველთა ტერიტორიის შეკრების საქმეს, სანამ ხალხი ეროვნული სიყვარულით გაჟღენთილ პოლიტიკას არ აწარმოებს თავის დასაცველად.

სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ჯაფარა რაჭველი.

ველი და პოეტი.

ველი

ნეტავ რა გინდა ამ ბნელს ღამეში
რას დამტრიალებ თავზე მტირალი?
ყმისოთაც წვიმს რათ მეჭივრება
კიდევ მაგ შენი ცრემლთა თქრიალი!
რამ აგაშფოთა საბრალო არსო,
რათ მიატოვე ბინა საგური?
ამ ბნელს უბსკრულში დახეტიალობ
ვით მავნე სული ავი, მაცდური!

პოეტი

რათ მეკითხები მაგ მწარე ენით
რა დაგიშავე, რით გაგაჯავრე?
ნუ თუ იმისთვის სულით ტანჯულმა
რომ ამ ღამეში გამოვიარე?!
ვერ დავდექ ველო, ჩემს ბნელს ოთახში
სული მეხუთვის ჰაერი მინდა,
სიცივ, სიბნელის თვალში ყურება
გულმა ვერ გასძლო, ცქერა მომწყინდა.

ველი

მაგისთვის სტირი? რა სულმოკლე ხართ
ვითა ცხოველი,—ადამიანი!
ვერც სიცივს ითმენთ, ვერცა სიბნელეს,
დახეტიალობთ თვალ-ცრემლიანი.
მაშ მე რაღა ვქნა, რომ მაწვიმს, მათოვს,
მკაცრი ზამთარი აროდეს მზოგავს.
სხვა და სხვა გვარი ტვირთი, სიმძიმე
ამ ჩემს გულ-მკერდზე დადის დაგორავს.
ყინვა გულს მიჭრის, სუსხი კანს მაძრობს,
ქარ-ბუქი სმენას მიფრთხობს, მიჰქავს,
ღამის წყვდიადი თვალებს მიბნელებს
და ნიავ-ღვარი სახეს მისერავს.

პოეტი

რისთვის გგონია, რომ შენი ტანჯვა,
ჩემს გულის კვნესას აღემატება?
შენ სულ-გრძელი ხარ, მეკი სულ-მოკლე,
მით მცირე დიდათ მომეჩვენება?!
მე გრძნობიერი არსება ქვეყნათ
უთანაგრძნობო, გაუგებარი,
რომ შენზე მეტად ვიტანჯებოდე
მისთვის რათა ვარ გასამტყუნარი?
წყვდიადი გტანჯავს, მაგრამ ყოველ ღამ,
რომ თავს დაგნათის ცისა ლამპარი?
ესეც არ იყოს განა არ იცი?,
რომ გაგინათებს დილის ცისკარი!
ყინვა გულს გიჭრის სამაგიეროთ
მზე სხივოსანი გიმზადებს წამალს,
ნელ-ნელა ციდათ გიახლოვდება
კვლავ დაგიბრუნებს სიცოცხლის ძალას.
კეკლუც გაზაფხულს შენთვის ამზადებს
შენი მიდამო აყვავილდება,
მწვანე ალის-ფრათ აბიბინდები
ტანჯვა, ვაება დაგავიწყდება!
მე კი რა მელის? რა მანუგეშებს,
რა მაქვს იმედათ მომავალშია?
სიცივ, სიბნელე, კვნესა, წუხილი,
სიცოცხლე ჩემი ამ ტანჯვაშია!!
ჩემს გულს ღვთაებრივ ცეცხლით ანთებულს

მზის შუქი სულ არ მიკარებია,
მას ღრვნის ხანგძლივი ცივი ზამთარი
გრძნობა მხურვალე გამნელებია!
ის ვინც მიყვარდა, ვის ვაღმერთებდი
რითაც ვხარობდი, რასთვის ვსტიროდი,
მან მომიძულა, მისგან გამსტყორცნეს,
მათთვის უჩინრათ მარად ვრჩებოდი.
როს ცა მიტაცებს და აღმაფრენით
მსურს შევსრიალდე ვარსკვლავებშია,
იმ დროს ძირს მქაჩავს გაუგებრობა
მთლათ გადამწყვიტოს ღამის წელშია!!
ადამიანის სახეს ვეტრფოდი,
გულს სიყვარული მიზღვავდებოდა,
მათგან პასუხათ მოსაწამლავი
გესლი ნაღველი მეგზავნებოდა!
არსაიდან ხმა თანაგრძნობისა
სულით წამებულს არა მსმენია,
ჰო, დავიქანცე ამ ბნელს ბრძოლაში,
ძალი და ღონე გამომელია!!!
გულს, რომ ერთხელაც მიშუქებოდა
გაზაფხულისა მზე ან ვარსკვლავი.
და ფრთა გაუშლელს, გრძნობა შეხუთულს
არ მეჭრებოდეს შენში საფლავი,
ტანჯვისა ტვირთებს მეც გაუძლებდი
გამოვიჩენდი მაგოდენს ძალას,
დღეს მისთვის ვსტირი, რომ უნაყოფოთ
ვამოვეთხოვო უნდა ქვეყანას!..

—:—

— ბუნებამ ხარბათ შეითქვა სული;
წვიმა შეჩერდა, მიყუჩდა ქარი,
წყალმა დუდუნი თვისი შესწყვიტა
როცა გაიხსნა სამარის კარი.

II

ბუნების ძირში, ბნელსა უფსკრულში
წყვდიადთა მეფემ დუმაერთ მჯდარი,
მკაცრათ წამოდგა ფრთოვან ჰერმესმა,
როცა მოგვარა უდროვოთ მკვდარი,
— უკუღმართობის მარად ჩამდენოვ
მაცდურ თვალმაქცო და მეტიჩარა,
ეს ვინ მოგვარე ჩემსა სამეფოს?
განა არ ხედავ? მთლად არ მომკვდარა!

ჰერმესი

აჩრდილთ მეფეო, დედამიწაზე
ამ კაცს არ ჰქონდა არსად ადგილი
ღონე მიხდილი ამის სხეული
მინდორში გდია ტანჯვით ტაღლილი.
აღშფოთებული ვით დალდა ზღვისა
ველში აქა-იქ ეხეთქებოდა
ობლათ შთენილი სიცოცხლის ბუდეს
მწარე ცრემლებით ეთხოვებოდა.
ამისთვის კვნესა, ვაება იყო
ცრემლით მორწყული იგი ქვეყანა!
მეფევ, ვფიქრობდი მოვალე ვიყავ
თავის ბინაზე ეგ მომეყვანა.

პლუტონი

თუ, რომ სიცოცხლე ამისი იყო,
როგორც შენ ამბობ ტანჯვა წამება,
ცხოველთ სამყაროს ჩამოშორება
რათ უძნელდება, რათ ენანება?
ღამის ხელიდან ხედავ დაგისხლტეს
სულიც ვერ ვამჩნევ დაქანცულობას;
როგორი იყო ამის ვედრება,
როცა უწევდი მოციქულობას?
ზეცას ღმერთებთან რას გაჩერებდა,
ან რა პასუხით უბრუნდებოდი?
მუდმივ ტანჯვაში როგორ ცხოვრობდა,
ნუ თუ ვერას დროს ვერა შველოდი?

ჰერმესი

რა დაიბადა ციურ ცვარითა
მუზები ზრდიდენ საგალობელად.
სამთავე დებმა: ხსოვნამ, სიმღერამ
და აზროვნებამ მიიღეს შვილათ.
სიმღერა ამის გულს პატრონობდა,
ხსოვნა გონების იყო მფარველი,
აზროვნება კი მას ულაგებდა,
რისიც იმ ქვეყნათ არის მნახველი.
მხოლოდ ჯიუტი ბედის-მწერალი,
როცა დაფაზედ სახელს იწერდა,
გულში სამტროთა მომზადებული
სახეს თვალ-მაცდურს ცბიერს იჭერდა.
— ადრე დაობლდა, ბავში უმწეო
სხვისა სხვის კარზე დატანტალობდა
მეტათა ჩასთვლილს ვის როგორ სურდა
ისე ზომავდა, ისე მსჯელობდა.
მაშვრალთა გმინვა, კვნესა, წუხილი,
პატარობიდან გულში ხვდებოდა
უსამართლობით აღშფოთებული
დაჩაგრულთ შველას ესწრაფებოდა.
— ოდეს ცხოვრების ველზე გამოსვლას,
ვითა მებრძოლი ეპირებოდა,
კაცთ ბოროტების შესატაკებლათ
ღმერთებს ძალ-ღონეს ევედრებოდა.
მათ განუმტკიცეს ძლიერი სული
ზეცას რაც ჰქონდათ ემეტებოდათ,
სამაგიეროთ ადამიანებს
სუყველაფერი ეშურებოდათ.
— სხეულმა დასცა, სული ცოცხალი
თუ კვლავ ბრძოლისთვის მიესწრაფება
ნუ თუ ამისი, მე აქ მოყვანა
მეფეო, ამით დამეძრახება?!

პლუტონი (დაფიქრების შემდეგ)

-- სულო ტანჯულო, სად მიიწევი?
მომიახლოვდი, წამოდექ წინა!
ამიერიდან უკუნისამდე
ჩემს სამეფოში გექნება ბინა,
აქ მოისვენებ მყუდრო დუმილში
არ აგაშფოთებს შური და მტრობა
დედა-მიწაზე მოსისხლე მტრებმა
აქ განამტკიცეს ერთობა, ძმობა!

პარიზელი.

„ის მე მოვკალ“!..

(ესკიზი გურიის ცხოვრებიდან)

— მართა, რა ქენი შე ქალო! ვახშამი არის ჯერე მზათ? აღარ ვარ კაკალი კაცი. გავწყდი დღემანდელი დღეია წელში; ერთი არ შემისვენებია; გამოსათავებელი იყო ის ოხერი ყანა და გადავყევი კიდეც!..

შეილაპარაკა თავის პატარა, წნელით მოღობილ ქოხში სამსონმა და დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

— ამინუთში, ამინუთში იქნება. შენ აგერ ხელ-პირი დეიბანე, ამასობაში ბიჭიც მუა და ქე ვჭამთ ვახშამს.—უპასუხა თავის მეუღლემ, მართამ, რომელიც ცეცხლის პირას იჯდა და მწვანილს არჩევდა.

— რაიო? ბიჭი მოუაო? სა წევიდა ქალო ბიჭი?—გაკვირვებით დაეკითხა სამსონი.

— სა წავიდა და აგერ, პავლიამ გამოუარა,—კრება არისო, მანაც ეიჩემა, აფერი მიჭირსო და ქე წაყვა.

— ქალო, ხომ არ გადარეულხარ შენ? რავა შეიძლო იმან ახლა სადმე წასვლა? იგი არ იყო გუშინ სასიკვტილოთ რომ დაფავდა პირს?—ცოტა გულმოსული უთხრა სამსონმა ცოლს.

— ახლა, ვითამ მე რომ მიმჯავრდები, როვაი დამჯერეა არ იცი? არ დამიჯერა და რა ვქნა?! იმხელა ყაძახს ხომ არ ჩავაფრინდებოდი ხუთი წლის ბაღანასავით, და დუუწყებდი მჯავრობას? წევიდა, რა უყოთ მერე, გარებ-გამორება კიდეც მუუხდება. შორ არ წასულა, ნუ გეშინია, აქანაი იქნებიან ვარლამაისას!.. ამ სიტყვებით მართამ ქოთანს, რომელიც ლობიოთი ცეცხლთან იდგა, თავი მოხადა და კოვზით რევა დაუწყო.

— რა გითხრა, რა გითხრა, რომ ჰკუა არ გეკითხება არც შენ და არც შენ შვილს? სული ძველათაი უდგია პირში და აგი ცოცხალ-მკტარი მაინც კრებაზე მიდის. “მელიეი კვტებოდა და თავი საქათმისკენ მიქონდაო“,—აგი არ არის?.. მარა ყაზილარს რაღა ჰკუა ვკითხო, რომ ამხელა დედაკაცი გადარეულა!.. მართა, თუ რამე დაემართა ამეღამ იმას, შენ ვერ მეიცთი აქანაი იცოდე!..—ცხარობდა კიდევ სამსონი.

მართამ ხმის ამოუღებლათ ჩაღუნა თავი, გადმოდგა ლობიო და დაუწყო შემზადება. სამსონმა ამოიღო თავის ჩიბუხი, ჩაყარა შიგ დაფშვნილი თუთუნი და გააბოლა.

— პელაგია გოგო!—დაუძახა მართამ თავის პატარა ქალს, მოი გოგო აგერ მამაშენს ხელსაბანი წყალი მუუტანე!

პატარა ქალი, რომელიც ეზოში დადიოდა და ძუძუმწოვარა ბავშს ასეირნებდა, შემოვიდა სახლში, ბავშვი ტახტზე დასვა და მამას წყალი მიურბენინა. სამსონმა დაიბანა ხელ-პირი და უკმაყოფილოთ გარეთ გამოვიდა, ის ჩამოჯდა კოპიტის ძირას საგანგებოთ გაკეთებულ გრძელა სკამზე და თავი ფიქრებს მისცა...

⁂

სამსონი ძალზე ღარიბი გლეხი იყო. ორ-თვალი ოდა, რომელიც მას ედგა. რეაქციის შემოსვლის დროს დაუწვეს და ის პატარა ფაცხის ამარა დარჩა. მას შემდეგ საშუალება აღარ ქონია, რომ ახალი სახლი დაედგა. თითონ სამსონი ასე 50 წლის კაცი იყო და ძალმოკლებული სჩანდა. აუტანელ შრომას თავისებური დაღი დაეჩნია მისთვის. მისი ცოლი, მართა, 40 წლის ქალი გახლდათ. ის მხნე და გამრჯე ადამიანი იყო. მათ ყავდათ სამი შვილი. უფროსი, პლატონ, 18 წლის ყმაწვილი იყო; მის უმცროსი პელაგია—10 წლის და ერთიც ძუძუმწოვარა ქალი.

პლატონს სამსონმა გაათავებინა სოფლის ორ კლასიანი სასწავლებელი და სულითა და გულით უნდოდა მისი სამოქალაქო სასწავლებელში მიცემა, მაგრამ ფულების უქონლობის გამო სისრულეში ვეღარ მოიყვანა თავის განზრახვა. მას შემდეგ პლატონი სამ წელიწადს ერთ მედუქნესთან იყო ნოქრათ, შემდეგ, ორ წელიწადს თბილისშიც დაჰყო ერთ-ერთ კანტორაში.

პლატონი,—რა რომ გაიგონა თავისუფლების პირველი სიტყვა, მას შემდეგ მთელის თავის არსებით მას ემსახურებოდა. ამის გამო ის ორხელ ციხეშიც იყო, ხოლო უკანასკნელათ კიდეც გადაასახლეს ცივ გუბერნიებში, მაგრამ ერთი თვის განმავლობაში უკანვე დაბრუნდა, რის შემდეგ ავათ გახდა, როგორც სამსონი ამბობდა, სიკვდილს ძლივს გადარჩა.

⁂

— არ ჩანა ხომ ქალო ბიჭი?—სახლში შესვლისთანავე იკითხა სამსონმა.

მართამ უარის ნიშნათ თავი გააქნია.

— ოი, შენ დაგწყევლის შენი გამჩენი! სანამდი უნდა ვიცადო ახლა, დედაკაცო, ამ მოღალულმა კაცმა?

— თუ არ იცთი და აგერაა აი ჰადი და ლობიე.., რას მიჯავრდები მე რომ არ ვიცი!..—ცოტა ხმა ამაღლებით სთქვა მართამ.

— ოო, ჰკუიანო, ჰკუიანო! ცივი საჭმელი კი არა თფილი სწყენს შენ შვილს და მოდი ახლა შენ და დაახვედრე ცივი ჰადი! მორჩება აბა რას იზამს? ოი შენ მომიკვდეს უბედურს, მიწა გახეთქილს.—ნიშნის მოგებით უპასუხა სამსონმა და უკმაყოფილების ნიშნათ განზე გააფურთხა...

მათ კაი ხანს იცადეს, მაგრამ პლატონი მაინც არ სჩანდა. ამ გარემოებამ ყველანი ძალიან შეაწუხა. „ფეხზე ძვილათაი დგება და ამ ყურყუმა ბნელაში რა წამეიყვანს მარტუას“! ფიქრობდა სამსონი. არა ნაკლებ სწუხდა მართა. „ვაი თუ გამიწყლეს ღმერთი და გაცივდეს, რაღა მეშველება მაშინ“! გაივლებდა ხოლმე გულში და ტანში საშინლათ გააჟრჟოლებდა. თვით პატარა პელაგიაც ხშირათ გააღებდა ხოლმე ფაცხის კარს და გაიხედავდა, ხომ არ მოდის ჩემი საყვარელი ძამიეო.

მართამ დააძინა ძუძუმწოვარა ბავშვი, დააბანია ფეხი პატარა ქალსაც და ჩამოჯდა მინელებულ ცეცხლის პირას. მან მონახა რაღაც ძველები, უნდოდა კერვა დაეწყო, მაგრამ იქვე მიაგდო და ფიქრებს მისცა თავი.

— არეკე ქალო მაი მჭადი! დევიხეფსეფ და წავალ ისევლე იმ ბიჭთან, თვარა დეიმტროვა საცხა გზაში...

მართას ხმა არ შეუბრუნებია, ისე არეკა მჭადი, ამოარიგა ლობიო და მწვანილი და შეუდგენ ჭამას. ვახშამი მიდიოდა უსიცოცხლოთ. სამსონი სიჩქარით ილუკმებოდა. მან გაათავა კიდეც და წამოდგა ზეზე. მართამაც ხელათ დაანება თავი ვახშამს და წამოდგა.

სამსონმა ჩაიცვა სწრაფად ტანისამოსი, ჩოხა ამოიკალთავა, ხელში თავის დიდი ჯოხი დაიჭირა და ის იყო უნდა გასულიყო სახლიდან, რომ ჭიშკრიდან ვილაცას ძახილი მოესმა და ძაღლმაც იქით მიაშურა. სამსონი ხელათ გავარდა გარეთ და „ვინ ბრძანდებიო“ დაიძახა.

— სამსონ ხარ შინ? მოესმა პასუხი. სამსონმა თუმცა სიბნელეში ვერ გაარჩია ვინ ეძახდა, მაგრამ მაინც დაუძახა: „შინ გახლავარ, მობრძანდიო“. თუმცა, ისეთ დროს, როცა სხვაგან ეპირებოდა წასვლას, არაფრად ეპიტნავა სტუმრის მოსვლა.

უცნობი ჩქარა მოვიდა სახლის ახლოს და ჰრაქის სინათლეზე გამოჩნდა ახალგაზრდა, 20—21 წლის კაცი, რომელსაც ოფლი წყალივით ჩამოსდიოდა და მეტის მეტი სიცხისაგან სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.

— რა ამბავია, ბესარიონ? რავა გამსკტარხარ კაცი! მობძანდი სახლში,—შეპატიჟა სამსონმა.

— რაღა დროის მობრძანდია, შე უბედურო!—ხვნეშით დაიწყო ახალ-მოსულმა.—ვარლამაისას კრებას პოლიცა დაეცა თავზე და ყველაი დაიჭირეს... პლატონიც დაჭირულია!..

ამის გაგონება და მართას თავ-პირში ხელის წაშენა ერთი იყო. ის მოსთქვამდა, ჰკიოდა და ლოყებს იკაწრავდა, მას მიყვა პატარა ქალიც და ჯოჯოხეთური სცენა დატრიალდა: მათ მოთქმას და ვაი ვაგლახს ზედ დაერთო ხმაურობისგან გამოღვიძებულ ბავშვის ტირილი... სამსონს კი ერთი სიტყვაც არ ამოუღია; ის გაშრა, ენა დაება და სახლის კედელს მიეყრდნო.

— ტირილი ახლა არაფელს უშველის. თუ რამე შეგიძლიენ. ეცადეთ, რომ გამოუაშობით. დილასვე დაფაცურდით. ამეღამ მონახეთ, სახლში არაფერი გქონდეთ „იმფერი“. მე ახლა სიმონკაისას მივალ, იგენის ბიჭია კიდევ დაჭირული.—სთქვა ახალ მოსულმა და საჩქაროთ წავიდა.

მართა სტიროდა შეუსვენებლივ; დადიოდა სიხლის ერთი კუთხიდან მეორემდე და მოსთქვამდა მწარეთ.

— დედაკაცო! ჩეიწყვიტე ხმაი, თვარა მე გასტავლი შენ რაფერ უნდა მოთქმა. შენ დალუპე და მიტლიკინებ აქანაი გულის მოსაკლავათ ენას?—შეუყვირა ბრაზმორეულმა სამსონმა.

მართამ გაკმინდა ხმა. მას გულზე დაესო ქმარის სიტყვები: „შენ დალუპეო“ და ამან მთლად აუნთო ცეცხლი. მას სტანჯავდა ორი გრძნობა: ერთი, რომ ავათმყოფი შვილი დაიჭირეს და მეორე, რომ ამის მიზეზათ მას სთვლიდენ. ეს ორი გრძნობა ბოჭავდა მის სულსა და გულს და ტანჯვას უორკეცებდა.

⁂

გავიდა ერთი თვე, რაც პლატონ დაიჭირეს. სამსონი ბევრს ეცადა, მაგრამ არ იქნა გამოშვება. მან მიართვა რამდენიმე საჩუქარი სხვა-და სხვა გავლენიან პირებს და სთხოვა დახმარება, მაგრამ არაფერმა უშველა. „შენი შვილი რუსეთიდან გამოპარული რომ არ იყოს, ყორიფელი შეიძლებოდა, მაგრამ გამოპარვა სახუმარო საქმე ხომ არ არისო“, ეუბნებოდენ ხოლმე სამსონს.

პლატონი, იმ ღამესვე, რა ღამესაც დაიჭირეს, ხელმეორეთ გახდა ავათ და ქალაქის ციხეში ცხენით ჩაიყვანეს.

სამსონი, რასაკვირველია, ხშირათ დადიოდა ციხეში მის სანახავათ და ამბის საკითხავათ, მაგრამ ეს საქმეს არაფერს შველოდა...

რამდენიმე ხნის შემდეგ პლატონს გამოუცხადეს, რომ შენი საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცა გასარჩევათო. ეს ამბავი პლატონმა საჩქაროთ აცნობა სამსონს. ამის შემდეგ ახლო ნათესავებმა და მეზობლებმა ურჩიეს მას, სთხოვე სასამართლოს პროკურორს, რომ თავმდებ ქვეშ გაანთავისუფლონ შენი შვილიო. სამსონმაც დაუყოვნებლივ მიართვა თხოვნა პროკურორს, მაგრამ მისგანაც უარი მიიღო.

სამსონს გადაუწყდა პლატონის, საქმის გარჩევამდე, განთავისუფლების იმედი. ამავე დროს პლატონი დღითი-დღე უარესათ ხდებოდა. ციხის პირობებმა საშინელი გავლენა მოახდინეს მასზე. ის ჩამოდნა სანთელივით და პირიდან სისხლის ღებინებაც დააწყებინა. უკანასკნელათ, ექიმმა აღმოაჩინა, რომ მას გაჩენოდა მსწრაფლი ჭლექი (скоротечная чахотка).

უნდა გენახათ, რა ამბავი დატრიალდა სამსონის ოჯახში, როცა გაიგეს, რომ პლატონი ასეთი საშიშარი სენით იყო ავათ. მართამ კინაღამ თავი მოიკლა.—დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ სტიროდა. თვით გულმაგარი სამსონიც, რომელიც აქამდე ხან ამხნევებდა და ხან კი უწყრებოდა მართას და ტირილს სასტიკად უშლიდა, ეხლა ისე მოლბა, რომ თვით დაიწყო ტირილი. სამსონის ოჯახს არ მოსწრებია ასეთი უბედურება. მთელი დღის განმავლობაში საჭმელი არავის აგონდებოდა; სამსონმა აიყარა გული მუშაობაზე და მთელი დღე უქმათ დაყიალობდა ეზოში...

უკანასკნელათ, ის თითქმის ყოველ დღე დადიოდა ციხეში. მართაც ხშირათ დაყვებოდა, მაგრამ პლატონს იშვიათად ნახულობდენ, რადგან მას აღარ შეეძლო ციხის კარებთან მოსვლა. სამსონი უზიდავდა მას სხვა-და-სხვა საჭმელებს, მაგრამ ბოლოს პლატონის ამხანაგებმა შემოუთვალეს: „ნულარ მოგაქვს საჭმელი. რადგან პლატონი მაინც ვერა სჭამსო“.

ცხადათ სჩანდა, რომ პლატონის დღეები დათვლილი იყო. სამსონმა განმეორებით სთხოვა პროკურორს, თავმდებით სიკვდილის პირას მიმდგარი შვილი, მაგრამ ხელ-ახლა უარი მიიღო. ამის შემდეგ სამსონი და მართა მივიდოდენ ციხის კარებთან, და სტიროდენ მანამ, სანამ ციხის ზედამხედველი არ გამოუდგებოდა და არ გარეკავდა მათ...

⁂

მაისის ბრწყინვალე დღე იყო. დიდებული მზე მაყათ დაჰყურებდა მთელ სამყაროს. ცაზე არ მოჩანდა არც ერთი ნამცეცი ღრუბელი. ისინი, თითქო მზის ბრწყინვალებას შეუშინებიათო, სადღაც შორს, ჰორიზონტზე შემოხვევოდენ შავათ გამომყურე მთას და იქ ეპოვათ ბინა.

სოფელ ორღობის სასაფლაო ხალხით იყო გაჭედილი. შუაში, ღრმა სამარის პირათ იდგა პლატონის კუბო. მის თავთან დაჩოქილი იყო სამსონი და შავ საფლავს ჩასჩერებოდა გაშტერებული. საბრალო მართა კი მაგრად ჩაჰკონებოდა პლატონის კუბოს და თითქო ქანდაკებაო, უძრავათ იყო. კუბოს ახლო, მომაღლო საფლავის ქვაზე შემდგარიყო შუახნის, დაბალი კაცი და გრძნობით აღსავსე სიტყვას ამბობდა. ის უხსნიდა დამსწრეთ იმ მიზეზს, რომელმაც ბოლო მოუღო ახალგაზრდა პლატონს და უჩვენებდა გზას, რომლითაც თავიდან უნდა აეშორებიათ ასეთი უბედურობები.

— ამხანაგებო! სანამ თქვენ არ მოსპობთ მიზეზს, მანამ მუდამ იქნება შედეგი. ეს კარგათ უნდა იცოდეთ თქვენ. ამის უტყუარ საბუთს იძლევა პლატონი და მრავალი მისგვარი მსხვერპლები; ამის მაგალ...

— ამხანაგებო! პოლიცია მოდის!—დაიძახა ვილაცამ. ხალხი შეინძრა, შეტორტმანდა.

— შეჩერდით, არ წახვიდეთ! პოლიციას რა საქმე აქვს ჩვენთან!—დაიძახა მოლაპარაკემ.

რამდენიმე წუთი, და ხალხს უკვე ალყა ქონდა შემორტყმული...

— დიიშალენით!.. ჩქარა!.. დასჭყივლა უროსმა.

— ჩვენ არ დავიშლებით, ჩვენ მკვდარს ვასაფლავებთ!—შესძახა ხალხმა.

— მაშ, კარგი! მათრახები!— გაისმა მკაცრი ბრძანება და მათრახების შხუილს ბანი მისცა ბავშვებისა და ქალების სასოწარკვეთილმა მოთქმამ...

ხალხი დაინძრა, ის არ მოელოდა ამას. მას გზა აერია და გაიწია წინ...

— შვილო! შვილო! აქაც არ განებებენ შენ თავს! აქაც უნდათ წამართვან შენი თავი!.. შვილო, მე შენ არავის დაგანებებ, ახლა ჩემი ხარ!.. მე ნება მაქვს შვილო!.. ნება მაქვს!..

მართა გაჰკიოდა რაც ძალი და ღონე ქონდა. მას მთლად დაეკარგა ფერი; დაგლეჯილი ლოყები დაულურჯდა და ბაგე გაშეშდა, ხმა ჩაუხლჩა და საშინლათ ყლორჭინობდა...

— შვილო! მკვდარი რაღათ უნდიხარ, გენაცვალე!.. მაშ რა უნდოდათ აქ... შვილო!..

ამ სიტყვებით ის სწვავდა თავის ტანთსაცმელს და გამწარებულმა მიგლიჯმოგლიჯა!..

მაგრამ ის უცებ გაშტერდა. ირგვლივ სამსონისა და ორი მოხუცის გირდა ალარავინ სჩანდა... მას თვალები აემღვრა, სახე გაუწითლდა, თმაში ხელი წაივლო, ერთი კიდევ შეჰკივლა და კუბოს უგრძნობლათ ჩაეხვია. მოხუცი მივიდა, ხელი მოჰკიდა, ზეზე წამოაყენა... მართამ მიიხედ-მოიხედა გარშემო. ერთი ზევით აიხედა, შემდეგ საფლავს დააშტერდა, რაღაც გაურკვევლათ ჩაილაპარაკა, შემდეგ კვლავ კუბოს დააშტერდა, მაგრამ ჩქარა თავი მოიბრუნა და სამსონს თვალი მიაპყრო და ბუნდოვანათ ჩაიბუტბუტა: „პლატონ მე მოვკალი!.. მე არ დაუშალე კრებაზე წასვლა“!.. ის ხელახლა მობრუნდა, კვლავ კუბოს მიაშტერა თვალი და ნელათ ისტერიკულათ გაიცინა!..

⁂

მზე მიდიოდა. მისი სხივები მხოლოდ მომაღლო გორაკობს ელამუნებოდენ და უსიცოცხლოთ აშუქებდენ.

სასაფლაოზე პლატონის კუბო სამარეში ჩაეშოთ ჩვენ ნაცნობ ორ მოხუცს და მიწას მაგრათ ატკეპნიდენ...

მართა კი ამ დროს ს. ორლობის ერთერთ ვიწრო ბილიკზე ორ კაცს შუაში დაეჭირა და ისე მიყავდათ... მისი კივილი და მოთქმა გაისმოდა შორს, შორს... თვით ყრუ ტყეც კი ვერ ითვისებდს ამ შესაზარ ხმას, და უკანვე უბრუნებდა მართას გულის შემზარავ ბანათ.

სამსონიც, გარინდებული, ერთიანათ აბნეული, შორი-ახლო მიყვებოდა თავის მეუღლეს.

ი. მ.

თბილისი. 12 ნოემბერი 1908 წ.

პატარა ფელეტონი

რას მერჩი, ტურფავ!

(სასიმღერო)

რას მერჩი, ტურფავ ოცნების ღმერთო,
რად შემირყიე სულის სიმშვიდე,
მითხარ შენ ჩემთან რა გაქვს საერთო,—
რას ჩამაცივდი—გადამეკიდე?!

—

კვლავ, გსურს ტყვედ გყავდე დამისაკუთრო...
მიტომაც მიმღერ ქებათა-ქებას?—
ტურფავ! რადა გშურს ეს ცრუ საწუთრო,
მეც განვლო ტკბილად... მეც ვგრძნობდე შვებას?!.

—

რას მერჩი ჩემო... რა დაგიშავე...
რად ამიკვნესე საფლავის ვარდი?
რისთვის გამცვალე, შენ გენაცვალე,—
მე ხომ მიყვარდი... მე ხომ მიყვარდი?!.

ი. გრიშაშვილი

მე და მუზა

(ვუძღვნი ი. გრიშაშვილს)

— მუზავ, რას გადამეკიდე,
მალის მალ მომევლინები,
სათხუზად ნაირ ჰანგების
სულშიგან ჩამეხუტები...
ღლიურ ცხოვრების ტალახში
ჩავიფალ, ლამის ვიხვრჩები,
მუზავ, რას გადამეკიდე,
რად აღარ გამებუტები?!
განქრა დრო, ნაზსა ყვავილებს
ველზე მარად რო ვკრეფავდი,
სულის და გულის საოხად
დამაშვრალთ გზასა ვკაფავდი:
ცის ნამი, ვარსკვლავთ ქათქათი,
გაზაფხულისა სუნნელი,
უმანკო გრძნობა, დიდება,
ირგვლივ სიცოხლის მფრქვეველი,—
განქრა, წარვიდა ყოველი,
ლაფში ყელამდე ვიხვრჩები,—
მუზავ, რას გადამეკიდე,
რატომ არ გამებუტები?!
აქ სიღარიბე მამწარებს.—
გამიწყრა ღმერთი ფულისა,
ეს უკვდავება და წყარო
ანგარი სიყვარულისა:
იქ მეგობარი გამიდგა,
ვალი რომ ვეღარ მივეცი,
აქ შურიანი მიწოდეს,
მზაკვარები რომ გავეცი;
იქ ამიჯანყდა სოფელი,
მისი ბოროტი რო დავგმე,
მჩაგვრელ-მძარცველთა ოინებს,
ვუწოდე ძნელი რამ საქმე...
ცხოვრება გადმიტრიალდა,
ლაფში ყელთამდე ვიხვრჩები
მუზავ, რას გადამეკიდე,
რატომ არ გამებუტები?!
— ვერა, ვერ მოვშლი, ყარიბო,
მე შენთან ხლება-ფრენასა,
და ვერცა მოვშლი ჟამისად
გრძნობით შენს აღმაფრენასა,—
სიმწარეს ნახავ და მასთან
ელოდე შვება-ლხენასა?..
სპეტაკსა სულსა აროდეს
სევდა ვერ დააზიანებს,
რა გინდ ლაფშიაც ჩაიფლას,
იგი მას გააფხიანებს,
ცხოვრებას გააცნობებს და
ნეტარ აზრთ გაუმზიანებს!..
ვისაც სიცოცხლით სიმწარე
არ განუცდია თავზედა,
მოძმისა ჰირს და ვარამში
არ ჩახედულა ძალზედა,
მას რა ნება აქვს, იფიქროს
უკეთეს მომავალზედა?!
ყარიბო, მიჰყე შენს გრძნობებს,
გული ნუ გისევდიანებს,
ტანჯვა—ცხოვრების დუხჭირი,
ენა-ყურს გაგიფხიანებს
და მოძმეთ სასიკეთოთა
ტკბილ ჰანგებს გაგიხმიანებს!..

იზიძე

ექსპრომტი.

(ვუძღვნი ჩემს **ელოს**)

...განა შენ ისე მომაჯადოვე
გან შენ ისე მომიკალ გული,
რომ მე შენს გარდა სხვა შევიყვარო,
რომ სხვის შევიძლო, მე სიყვარული?!

ტიმოთეს ლელვ.

⁂

შვების და ბედის გერს მოძულებულს,
შავს ზრახვებს მიშლის ცხოვრება ბნელი,
მიწამლავს გრძნობას, გულს ლახვარს ასობს,
ჰქრება იმედი უკანასკნელი,
მაგრამ ჩანგისა მკვნესარე სიმებს,
მწარედ აღერებს მთრთოლვარე ხელი;
და აზვირთებულ გრძნობის დუღილის
მარად მღერაა საკურნებელი.

კ. ფშაველა.

ალბომში.

როდესაც ვხედავ ქართველის ქალის
ალბომს ლექსებით აჭრელებულსა,
როს იმათ შორის ვერა ვპოულობ
ერთ ქართულ სიტყვას ერთ ლექსს ქართულსა,—
მაშინ მე რაღაცა სევდა შემიპყრობს.
გულს მოედება მწარე ნაღველი...
ეჰ!.. საყვარელო ჩემო სამშობლო,
რად უნდა გაჰქრეს შენი სახელი?!.

კ. ჭიჭინაძე.

გამოცანები.

1

ერთ ქალს ვიცნობ...სულ ხითხითებს...
(თუმც ინახავს თავსა წმინდათ),
იცის ჩუმი მაჰანკლობა
გაგირიგებთ ვინც, რომ გინდათ.
სადაც თეატრ—ვეჩრებია
უეჭველად იქა გდია.—
ერთი სიტყვით დიდ-პატარა
ყველა ფეხებზე ჰკიდია!..

2

ყველას „ფეხს ფხანს“ და უუშებს
სულ ყოველგვარ წკლუწ-იარებს
და სახალხო სცენას—თეატრს
თვის დამპალ ნიჭს უზიარებს!..
ყველას ბაღში დაყიალობს
ხან ჰკრეფს ეკალს და ხან ვარდებს,—
მაგრამ ვნახოთ ეს ვერანა,
როდემდისინ ინავარდებს!..

3

სახით ქერა... აყლაყუდა...
აწოწილი ახმახია,
პასუხს ჰკადრებ... შეგაგინებს,
მეტის მეტი ტრაბახია,
ყველგან ცხვირს ჰყოფს, ნაგავს ქექავს
ჭით ღრუტუნა, ვით ტახია,—
მაგრამ მალე მომწიფდება...
არა უშავს... ჯერ მკვახია!..

გრი—გრი

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ქუთაისის ქართული თეატრის ბედი წალმა დატრიალდა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების გამგეობა, რომელმაც ყოველი ღონე იხმარა, რომ თეატრი მკვიდრს ნიადაგზე დაეყენებია. ჯერ იყო და იჯარით აიღო მან ქალაქის თეატრი და ამით კვირაუქმე დღეებში ქართული წარმოდგენების მართვა უზრუნველჰყო; წინად კი თითქმის ნახევარჯერ კვირა-უქმე დღეებში თეატრი უცხოელებს ეთმობოდათ წარმოდგენების, კონცერტებისა და ხანდისხან ჰიდაობის გასამართავადაც კი. იჯარით აღებული თეატრი შესამჩნევად შეკეთდა: გაკეთდა ამფითეატრი, საპირფარეშო ოთახები, (ცალკე ქალებისა და ვაჟებისათვის), სათეატრო ფოიე და სხ., და ამგვარად თეატრში მოსიარულე საზოგადოებას შეძლება მიეცა, რომ თავისუფლად იგრძნოს თავი ანტარქტების დროს. ამას მოჰყვა საკუთარი დრამატიული დასის შედგენა, რომელშიც მოწვეულნი არიან ჩვენი საუკეთესო მსახიობნი, ქალები და კაცები. მსახიობთ დანიშნული აქვთ განსაზღვრული, საკმაოდ მოზრდილი ჯამაგირები და ამგვარად ისინი ჩვეულებრივ სიცივისა და შიმშილისაგან მაინც უზრუნველყოფილი არიან. ასეთ მდგომარეობაში კი, მოგეხსენებათ, მათი შრომაც უფრო ნაყოფიერი იქნება. შემდეგ გამგეობამ შესამჩნევად შეამცირა თეატრის ბილეთების ჩვეულებრივი ფასები და მით გაუადვილა საზოგადოებას თეატრში სიარული. დასასრულ მან შესაძლოდ სცნო კვირაში თითო იაფფასიანი სახალხო წარმოდგენის მართვა და ამათ შეძლება მისცა ღარიბ ხალხს იაროს ამ გონების განმავითარებელსა და ზნეობის განმასპეტაკებელს ეროვნულ ტაძარში. ამას დაუმატეთ ისიც, რომ გამგეობამ შეიძინა ახალი დეკორაციები, ტანისამოსები, სცენის სხვა-და-სხვა მოწყობილობა და სხ. ერთი სიტყვით, გამგეობამ თავის მხრით ჰქმნა ყველაფერი, რის ქმნაც კი შეიძლებოდა ქუთაისის თეატრში, რომ ქართული წარმოდგენების საქმე კარგად მოეწყო.

მსახიობებიც მეტად გულმოდგინედ ეკიდებიან საქმეს, ყოველ დღე, ორი თუ არა, თითო რეპეტიცია მაინც აქვთ. გული სიამოვნებით გევსებათ, როდესაც ხედავთ, დილის 9 საათზე მსახიობები თეატრისაკენ მიეშურებიან სარეპეტიციოდ და ნაშუადღევის 2 საათამდის განუწყვეტლივ მუშაობენ. მაგრამ მუშაობენ ისე კი არა, როგორც სხვა-და-სხვა ბიუროკრატიულ დაწესებულებებში, სადაც ყველაფერი ფლიდობასა და თვალთმაქცობაზეა დამყარებული; არა. ისინი მუშაობენ გულით- ხალისით, ემსახურებიან ხელოვნებას და არა ხელობას. ხელმძღვანელიც ჩინებული შეხვდათ: ბ-ნმა ვ. გუნიამ დ-დი ფხა და უნარი გამოიჩინა რეჟისორობაში,

მსახიობთ ამგვარმა მუშაობამ შესაფერი ნაყოფიც გამოიღო: ახლა წინანდელად ველარ ნახავდ, რომ მსახიობებმა როლები არ იცოდენ, რომ ყველა თავ-თავის ადგილზე არ იყოს; არც ერთის, აქამდის გამმართული წარმოდგენის შესახებ არ შეიძლება სთქვას კაცმა: „ცუდათ“ ან სუსტად ჩაიარაო“, „ანსამბლი არ იყოო“ და სხვა ამგვარები.

ყველა ამას სასურველი შედეგიც მოჰყვა. 20 სეკტემბერს გაიხსნა სეზონი. მას შემდეგ ყოველ კვირაში 2—3 წარმოდგენა იმართება, რომელსაც დიდძალი საზოგადოება ესწრება. ზოგიერთი პიესა ორ-ორჯერ იყო დადგმული, მაგრამ ორივეჯერ იმდენი საზოგადოება დაესწრო, რომ თეატრში ტევა აღარ იყო. ამ ჟამად წარმოდგენებზე ისეთ პირთაც ხედავთ, რომელთაც წინად, თეატრში ქუდი რომ შეგეგდოთ, მის გამოსატანადაც კი ვერ შეიტყუილებდით, ქართულ წარმოდგენებზე სიარული საზოგადოებისთვის თითქოს მოთხოვნილებად გადაიქცა. ვერ ნახავთ იქ მხოლოდ „უმაღლეს“ ინტელიგენციასა და არისტოკრატიას, რომელნიც კლუბებსა და სასტუმრო-რესტორანებში ათენ-აღამებენ მწვანე მაუდის, ან ბახუსის სამსხვერპლოს გარშემო და რმოელთაც სასირცხოდაც კი მიაჩნიათ ქართულ წარმოდგენებზე სიარული, რადგან „ქართული წარმოდგენები ვერ აკმაყოფილებს მათს გონებრივსა და სულიერ მოთხოვნილებებს“.

რა გაეწყობა! „დაგვაკლდეს მათი მაღალი ბანი“. ოღონდ იმათ კი იარონ თეატრში, ვისაც ეროვნული გრძნობა ულვივის გულში, ვისაც ეროვნული კეთილდღეობა ასულდგმულებს, და გადაგვარების გზაზე დამდგარი ღამურები წყალსაც კი წაუღია.

იხარა.

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ხერხეულიძე

განცხადებანი

Заводск марка
Кавказскій натуральный
Коньякъ
Д. З. Сараджевъ
О. С. (Очень Старый.) тифлисъ № 25

НОВОСТЬ XX ВѢКА
СТАЛЬНАЯ-АЛЮМИНІЕВАЯ
КУХОННАЯ ПОСУДА
Акц. О-во
АЛЕКСАНДЕРВЕРКЪ
А. ФОНЪ-ДЕРЪ НАМЕРЪ.
МОСКВА, Мясницкая, № 20.
ХАРЬКОВЪ, Московская, № 11
И ВО ВСѢХЪ ЛУЧШИХЪ МАГАЗИНАХЪ
ХОЗЯЙСТВЕННЫХЪ ПРИНАДЛЕЖНОСТЕЙ.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი
ჩ ა ნ გ ი
წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 35 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაჭრეებს $^0/_0$ $^0/_0$ დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 35 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზანის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.
ადრესი: Тифлисъ. т-во Сорапань. М. Гачечиладзе.

ЯAND PЯIX
1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.
1865 წ. 1896 წ.
დედამიწაზე
საუკეთესო
კალოშები
სამ კუთხედით
1860.
Т. Р. А. Р. М.
С. ПЕТЕРБУРГЪ.
რუსეთ-ამერიკის სარეზინოს მანუფაქტურის ამხანაგობა
ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“
ს.-პეტერბურგში
სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.
იყიდება ყველგან

ელქტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოს კუნძული № 1. ტელეფონი № 539.